საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანონიკა

კანონიკა, კანონიკური ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა, სასულიერო მწერლობის დარგი; მოიცავს საეკლ. იურიდიულ ლიტ-რას, რ-იც უმაღლესი საეკლესიო ორგანოების მიერ იყო ნებადართული იურიდიულ საკითხებში პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის. კ-ის პირ-ველი ძეგლების აღმოცენება ბიზანტ. საეკლ. მწერლობის საწყისებს უკავშირდება; ბიზანტიაში მათი კრებულებში გაერთიანება ქრისტიანობის ადრეული პერიოდიდან დაიწყო და 883 ჩამოყალიბდა „ნომოკანონის" სახით. ქართ. კანონიკური მწერლობა ექვთიმე მთაწმიდლის (X ს.) მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „მცირე სჯულისკანონით" იწყება. კრებულში გაერთიანებულ სხვადასხვა პერიოდის თხზულებათაგან ცენტრ. ადგილი უჭირავს VI მსოფლიო კრების კანონებს, რ-ებიც საფუძვლიანად განსხვავდება დედნისაგან. როგორც ჩანს, ექვთიმე მთაწმიდელს შეუდგენია ნახევრად ორიგ. კოდექსი, რ-შიც გაუერთიანებია იმდროინდელი მოქმედი საეკლ. კანონები. XI ს. მიწურულს ან XII ს. დამდეგს არსენ იყალთოელმა ბერძნულიდან თარგმნა „ნომოკანონი" „დიდი სჯულისკანონის" სახელწოდებით. სავარაუდოდ XII ს-ში ბერძნულიდან უნდა იყოს ნათარგმნი „კითხვანი მონაზონისა ვისნიმე, რთა ახსნა გამოსცა პეტრე პატრიარქმან ხარტოფილაქსმან". კანონიკურ ძეგლად უნდა ჩაითვალოს XV ს. ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქის, მიხაილის მიერ იოაკიმე ბედიელის აფხაზეთის კათალიკოსად დად-გინებასთან დაკავშირებით გამოგზავნილი ეპისტოლე, ე. წ. „სასჯულო მცნება". ანტონ I-მა სომხურიდან თარგმნა III მსოფლიო კრების (ეფესოს) აქტები (1776). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, სხვა მასალასთან ერთად, შეტანილია „სამართალი ბერძული", რ-იც ერთ-ერთი ბიზანტიური „ნომოკანონის" (XIII–XIV სს.) თარგმანია. ქართ. ორიგინ. კ-ის სათავედ უნდა მივიჩნიოთ ექვთიმე მთაწმიდლის პასუხები გიორგი ჭყონდიდლის შეკითხვებზე, რ-ებშიც საეკლ. სამართლის საკითხებიც არის განმარტებული.

ქართ. კ-ის უმნიშვნელოვანესი ძეგლია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებანი, ე. წ. „ძეგლისწერა". სხვა ძეგლთაგან აღსანიშნავია „კათალიკოსთა სამართალი", 1543–49 იმერეთში მოწვეული საეკლ. კრების კანონთა კრებული, 1762 ერეკლე II-ისა და იოსებ კათალიკოსის ინიციატივით მოწვეული საეკლ. კრების კანონთა კრებული, ანტონ I-ის მიერ შედგენილი კანონიკური ეპისტოლე და სხვ. საეკლ. სამართლის საკითხებს ხშირად ეხება დოკუმენტები, რ-ებიც სიგელებისა და გუჯრების სახელწოდებითაა ცნობილი.

გამოც.: დიდი სჯულისკანონი, გამოსცეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975; მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის *გამოც.*, თბ., 1972; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის *გამოც.*, ტ. 1–5, თბ., 1963–74.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 1, ნაკვ. 1, ტფ., 1928 (*თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 6, თბ., 1982).

ე. გაბიძაშვილი